

პროგრამის განაცხადის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

05 05

პროგრამის დასახელება:

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება

პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის განხორციელების პერიოდი:

2021-2024 წლები

პროგრამის მიზანი:

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შენარჩუნება და დაცვა

პროგრამის დასაბუთება და აღწერა:

კულტურული მემკვიდრეობა ამოუწურავი რესურსია. ამ უძვირფასესი რესურსის გამოვლენა, დაცვა, ინტერპრეტაცია და გამოყენება სოციალური და ეკონომიკური წინსვლის აუცილებელი პირობაა. კულტურული მემკვიდრეობა სულიერი და მატერიალური განვითარების მატრიანე, ერის თვითშეგნების ჩამოყალიბებისა და თვითმყოფადი ეროვნული კულტურის უწყვეტობის წინაპირობა და კაცობრიობის საერთო საგანძურის განუყოფელი ნაწილია. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილება ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია. ამ უფლებამოსილების შესრულების მიზნით, 2021 წელს განხორციელდება ქვეპროგრამა „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია“.

პროგრამის ბიუჯეტი

დასახელება	სულ	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია	2 717 015	595 727	754 590	965 595	401 103
სულ პროგრამა	2 717 015	595 727	754 590	965 595	401 103

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი

შენარჩუნებული და დაცულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

დამატებითი ინფორმაცია

--

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მოგროვების მეთოდი
	2020წელი (საბაზისო)	2021 წელი	2022 წელი	2023წელი	2024 წელი				
შენარჩუნებული და დაცულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პროცენტული წილი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საერთო რაოდენობაში	8	6	4	2	1	%	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	მონიტორინგი

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 05 05 01

ქვეპროგრამის დასახელება:

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2021 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	595 727
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	595 727

ქვეპროგრამის მიზანი:

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საზღვრებში სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელების გზით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული კულტურული ძეგლების დაცვა და შენარჩუნება. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილება ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია. ამ უფლებამოსილების შესრულების მიზნით, 2021 წელს განხორციელდება ქვეპროგრამა „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია“, რომელიც ითვალისწინებს ქ. ბათუმში, ირაკლი აბაშიძის ქ. N2-ში საცხ. სახლის რეაბილიტაციასა და შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების საავტორო ზედამხედველობას.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ქ. ბათუმში, ირაკლი აბაშიძის ქ. N2-ში საცხ. სახლის რეაბილიტაცია	შენობა	1	582 903	582 903
შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების საავტორო ზედამხედველობა	შენობა	1	12 824	12 824
სულ ქვეპროგრამა				595 727

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ქ. ბათუმში, ირაკლი აბაშიძის ქ. N2-ში საცხ. სახლის რეაბილიტაცია	x	x	x	x
შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების საავტორო ზედამხედველობა	x	x	x	x

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2021 წელი)

განხორციელებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია

დამატებითი ინფორმაცია

--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
განხორციელებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია	რეაბილიტირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რაოდენობა	1	1	რაოდენობა	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	მონიტორინგი